№ 236 ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ფასი 1 მანეთი. კვირა, 19 ოქტომბერი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით) „საქართველოს რესპუბლიკა" მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

კვირას, ოქტომბრის 19, **ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲝᲜᲔᲒᲘᲜᲘ.** ორშაბათს, ოქტომბრის 20, „მანონი". სამშაბ. 21 ოქ. „საბალეტო სპექტაკლი". I) კაპელია, II) „ჯამბაზები". ოთხშაბათს, 22 ოქტომბერს, „აბესალომ და ეთერი". ხუთშაბათს, 23 ოქტომბერს, „ჰოფმანის ზღაპრები" 2117 1—1

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ (ზუბალაშვილისა)

ორშაბათს, 20 ოქტომბერს

ქართ. სამუსიკო საზოგადოების და საქართვ. კოოპერატივთა კავშირის

„ᲙᲐᲞᲔᲚᲐ"

დ. არაყიშვილის ლოტბარობით

გამართავს **ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲡ.**

2052 2—2

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ

მიწ.-მოქმ. სამინისტ. სასოფ. მეურნეობის დასახელმწ. მამულთა განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 1 გიორგობისთვეს, შაბათს შუადღის 12 საათზე, განყოფილების ბინაზე (პეტრე დიდის ქ., 22) მიწათ მოქმედების მინისტრის ნებართვით, დანიშნულია მეორედ სიტყვიერი საჯარო ვაჭრობა (შეიძლება დაბეჭდილი კონვერტების წარდგენაც) თევზის დაჭერის უფლებაზე მდ. ხრამში, დებედაჩაი მანთაშევისეულ და არამიანცისეულ მამულების ფარგლებში. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 30.000 მანეთიდან. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს განყოფილების სახელზე წერილობითი განცხადება 2 მან. სამარკო გადასახადით და შემოიტანოს ბე 30 პროც. იმ თანხისა, რომლითგან დაიწყება საჯარო ვაჭრობა. კონდიციების გაცნობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. 2011 2—2

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აცხადებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სიები შედგენილია და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების მე-6 და მე-7 მუხლის თანახმად სიები გამოქვეყნებულია საყოველთაო განსახილველად ქალაქის საბჭოს კანცელარიის შენობაში ამა ოქტომბრის 17-დან ოცდა რვა ოქტომბრამდე. ამ ხნის განმავლობაში მოქალაქეთ უფლება აქვთ განუცხადონ ქალაქის გამგეობას თუ ვინმე უკანონოდ არის შეტანილი ან გამოტოვებულია სიებში და ამ განცხადების საფუძვლიც წარმოუდგინოს გამგეობას.

2113 1—1

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გაუგებრობისა და უნებლიედ უკმაყოფილობის თავიდან ასაცილებლად ამით ვაუწყებ ქალაქის სასარგებლოთ სანიტარული გადასახადის ყველა გადამხდელებს, რომ ვინც ხვედრ გადასახადს დანიშნულ ვადაზე არ შემოიტანს ე. ი. ორ მესამედს ეხლავე და ერთ მესამედს ათ დეკემბრამდე—მათ გადახდება კანონით დაწესებული ჯარიმა 50 პროც. განსაზღვრული გადასახადისა.

გვინდოდა რა, რომ რამდენადაც შესაძლებელია საშუალება მიგვეცა გადამხდელთათვის გადასახადის უმტკივნეულო გადახდისა,—მე პირადათ ჩემი პასუხისმგებლობით და თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის და მთავრობის თავმჯდომარის შუამდგომლობისა, რამდენჯერ გაუგრძელე კანონით განსაზღვრული ვადა გადამხდელებს. მთელი გადასახადი შემოტანილი უნდა ყოფილიყო ათ ოქტომბრამდე.

ეს დღემდე ე. ი. 17 ოქტომბრამდე კიდევ გავაგრძელე ეს ვადა, მაგრამ ამის შემდეგ ვაფრთხილებ ყველას, რომ არავითარ დათმობას ადგილი არ ექნება, და ის ჯგუფები ან გადამხდელები, რომელთათვისაც ვადა გავიდა ან გავა, ყოველ მიზეზს გარეშე გადაიხდიან გადასახადს ჯარიმით.

ტფილისის ქალაქის მოურავი **ჩხიკვიშვილი.**

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აუწყებს თვის პროვინციის კომიტეტების და აგენტების საყურადღებოდ, რომ ვინც **ამა თვის ოცდახუთამდის** არ წარმოადგენს გაუყიდველ ბილეთებს, შემდეგ კანტორა მათ ბილეთებს არ მიიღებს და კომიტეტებს თუ აგენტებს მოსთხოვენ წარმოუდგენელ ბილეთების ფასს.

ლატარიის გათამაშება მოხდება ამა წლის 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში.

კანტორა (სასახლის ქ., № 5, ტელ. 7—61) ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 2059 7—2

საქართველოს რკინის გზის ექსპლოატაციის საკომერციო ნაწილი

ამით აცხადებს, რომ დაკარგულ საქონლის გამო შემოტანილ საჩივრების განხილვის შემდეგ, საკომერციო ნაწილი არავითარ მიწერ-მოწერას არ აწარმოებს იმ მომჩივან პირთან, რომელიც ცხოვრობს საქართველოს საზღვრების გარეშე, თუ უკანასკნელი არ გამოგზავნის დაზღვეულ ბარათის ღირებულებას პასუხის მისაღებად. 2049 3—2

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

საქართველოს სენატის ზოგიერთ თანამდებობის პირთათვის ჯამაგირების გადიდებისა.

I. დამფუძნებელი კრების მიერ ამა 1919 წ. ივლისის 29 დამტკიცებულ საქართველოს სენატის შტატით განსაზღვრულ ჯამაგირის რაოდენობა ქვემოდ ჩამოთვლილ თანამდებობის პირთათვის შეიცვალოს და დაენიშნოს:

1) სენატის თავმჯდომარეს—თვიურად ცხრა ათასი (9.000 მან., ხოლო წლიურად ას რვა ათასი (108.000) მან.

2) სენატის თავმჯდომარის ამხანაგს—თვიურად რვა ათასი (8.000) მან., ხოლო წლიურად ოთხმოცდა თექვსმეტი ათასი (96.000) მან.

3) სენატორს—თვიურად შვიდი ათას ხუთასი (7.500) მან., ხოლო წლიურად ოთხმოცდა ათი ათასი (90.000) მან.

4) სენატის პროკურორს—თვიურად რვა ათასი (8.000) მან., ხოლო წლიურად—ოთხმოცდა თექვსმეტი ათასი (96.000) მან.

და 5) სენატის პროკურორის ამხანაგს—თვიურად შვიდი ათასი (7.000) მან., ხოლო წლიურად ოთხმოცდა ოთხი ათასი (84.000) მ.

II. დამფუძნებელი კრების მიერ ამა 1919 წ. ივლისის 29-ს დამტკიცებულ საქართველოს სენატის დებულების შემოღების კანონს (კან. და მთავ. განკ. კრებ. კან. 118) მე-V განყოფილების ლიტ. ბ თ განსაზღვრული თანხის დამატებად გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან ყოველთვიურად ამა 1919 წ. ოქტომბრის 1-დან კიდევ ოთხმოცდახუთი ათას რვაასი (85.800) მან,

III. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ოქტომბრის 10-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი

ექვ. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

საქართველოს სენატის კანცელარიისათვის.

საქართველოს სენატის კანცელარიაში ინიშნებიან: სეით ჰიჰინაძე სისხლის სამართლის დეპარტამენტის მდივნის თანაშემწეთ, ირაკლი აბესალომის ძე ტყემალაძე და ქეთევან ჩიგოგიძე—იმავე დეპარტამენტის კანცელარიის მოხელეებათ—ყველანი 17 ღვინობისთვიდან 1919 წ.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე

დ. ხელთუფლიშვილი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

10 ოქტომბერი, 1919 წ., № 240.

დანიშნული არიან: თომა ბახვას ძე ხვიტია ზუგდიდის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ.

შორაპნის მაზრის აქციზის ინსპექტორის უნცროსი თანაშემწე-დიმიტრი ოქროპირის ძე წერეთელი ამავე მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ.

ვარლამ სპირიდონის ძე ჩომახიძე შორაპნის მაზრის აქციზის ინსპექტორის უნცროს თანაშემწედ.

გადაყვანილია შორაპნის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე ბესარიონ ალექსის ძე ხახალეიშვილი იმავე თანამდებობაზე ქ. ქუთაისში.

№ 243.

ცვლილებად სამინისტროს ამა წლის 3 ივლისის ბრძანებისა, აქციზის სამმართველოს უფროსის თანაშემწეს მარკოზ სულხანიშვილს მიეცეს **ჯამაგირი** ამა წლის 1 ივლისიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხ. ს. **ავალიანი.**

13 ოქტომბერი, 1919 № 243.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან საგარეო ვაჭრობის მცირე განყოფილების გამგე თამარა ალექსის ასული ჰიჰინაძე, ამა წლის 16 ოქტომბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **კ. კანდელაკი.**

ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

პროგრამისათვის.

საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა მთავარ გამგე დანელიამ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა ვაჟთა გიმნაზიების უფროსებს.

საქართველოს რესპუბლიკის საშუალო სკოლებში და მათთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების წესის შეცვლა იწვევს ძველი პროგრამის გადასინჯვას. ამის გამო საჭიროდ ვსთვლი განვმარტო შემდეგი:

I კლასისათვის. პირველ კლასში, სადაც რუსულ ენას მოწაფენი წელს პირველად იწყებენ, ეს საგანი უნდა ისწავლებოდეს იმ პროგრამით, რომელიც ახლად დამტკიცებულია რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს მიერ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პირველი კლასისათვის.

II, III და IV კლ. მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში, სადაც რუსული ენის სწავლას მოწაფენი მხოლოდ განაგრძობენ, რჩება ძველი პროგრამმა ამ საგნისა. შესაძლებელია მხოლოდ შემცირება საკითხავი და ზეპირად სასწავლო მასალისა. რაც შეეხება ძირითად გრამატიკულს და სხვა გვარ თეორიულ მასალას, ის უნდა დარჩეს ხელუხლებლად, ძველი პროგრამების ფარგლებში.

V კლ. მეხუთე კლასში მოწაფენი იწყებენ რუსული სიტყვიერების ისტორიის შესწავლას, იწყებენ ძველებურად ზეპირ სიტყვიერებიდან. საჭიროა მხოლოდ უწინდელი ვრცელი მასალის შემცირება: საკმარისია მოწაფეებმა შეითვისონ ზოგადი ცნებანი რუსული ზეპირი სიტყვიერებიდან და გაარჩიონ რამდენიმე ეპიური ნაწარმოები („Былины", უპირატესად). სხვა დარგის ხალხური ნაწარმოებთა კლასში გარჩევა არ არის სავალდებულო. ამის შემდეგ მოწაფენი გადადიან ლიტერატურაზე, ითვისებენ ზოგად ხაზებს რუსულ ლიტერატურის განვითარებისა მისი აღმოცენებიდან პეტრე დიდის ხანამდის. ამ პერიოდის ისტორიულ-ლიტერატურულ ნიმუშებიდან სავალდებულოა მხოლოდ „Слово о полку Игоровѣ" и „Домострой"-დან რამდენიმე ნაწყვეტის გარჩევა. ზემოაღნიშნულ კურსის შესწავლის დროს სავალდებულოა შეძლების და გვარად ისტორიულ-ლიტერატურული პარალელებით სარგებლობა. ამ უკანასკნელ მიზნით მოწაფეთ შეიძლება შეასწავლონ შემდეგი ნაწარმოებები:

1. Пушкинъ—„Кавказскій плѣнникъ", „Цыганы", „Пророк", Поэтъ и чернь".
2. Лермонтовъ—„Пѣсня про купца Калашникова", „Бэла", и „Максимъ Максимычъ".
3 Гоголь—„Вечера на хуторѣ близъ Диканьки".
4. Тургеневъ—„Записки охотника".

ზემოაღნიშნული ნაწარმოებები მოყვანილია მხოლოდ სანიმუშოდ. მასწავლებელს შეუძლია დასახელებულ ნაწარმოების მაგიერ გაარჩიოს კლასში სხვა, რომელიც მისი აზრით, უფრო შეეფერება კლასის განვითარებას და ინტერესებს. მხოლოდ საჭიროა რომ არჩეული ლიტერატურული მასალა იყოს საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი.

მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასების პროგრამა რჩება არსებითად ძველი: მოწაფენი განაგრძობენ წინა წლეებში დაწყებულ კურსს. ცვლილება, რომელიც შესაძლებელია დაშვებული იქმნას შეეხება მხოლოდ მეორე ხარის-

ხოვანი მნიშვნელობის მწერლებს და მათი ნაწარმოებთ ამნაირად:

6. კლ. მეექვსე კლასში გადიან „შემოკლებით XVI, XVII, XVIII და XIX საუკუნეების ლიტერატურის ისტორიას ა. გრიბოედოვამდის. ამ ხანის მწერლობიდან სავალდებულოა მხოლოთ ლომონოსოვის (ერთი ოდა), ფონვიზინის „Недровль" დერჟავინის (ერთი ოდა, კარამზინის ნაწყვეტები: „Письма русскаго путешественника" და „Бѣдная Лиза"-ჟან ჟუკოვსკის („Тэонъ и Эсхинъ", Кубокъ", Свѣтлана") და გრიბოედოვის („Горе отъ ума") ნაწარმოებთა გარჩევა, დანარჩენი მწერლების შესახებ, რომელთა მნიშვნელობა ისტორიულ ლიტერატურულ პერსპექტივის გასათვალისწინებლად უფრო ნაკლებია (კანტემირი, სუმაროკოვი, ნოვიკოვი) მასწავლებელი შეიძლება დაკმაყოფილდეს ზოგადი მიმოხილვით.

7 კლ. მეშვიდე კლასისათვის სავალდებულოა წელს კარამზინის, ჟუკოვსკის და გრიბოედოვის ლიტერატურულ მოღვაწეობის ზევით აღნიშნულ ფარგლებში შესწავლა. გარდა ამისა ამ კლასის მოწაფეებმა ვრცლად (ძველი სამინისტროს პროგრამით) უნდა შეისწავლონ პუშკინის, ლერმონტოვის და გოგოლის ლიტერატურული მოღვაწეობა.

8 კლ. მერვე კლასის მოწაფენი წელს განაგრძობენ შარშანდელ კურსს და არჩევენ (ტურგენევს) „Отцы и дѣти", Рудинъ" ან სხვა მთავარი ამ მწერლისა, გონჩაროვის „Обломовъ" ან „Обрывъ" (ოსტროვსკის) „Гроза," „Бѣдность не порокъ" დოსტოევსკის („Бѣдные люди", „Преступленіе и Наказаніе") ტოლსტოის („Война и миръ") ნეკრასოვის („Рыцарь на часъ", „Морозъ-Красный носъ", Русскія женщины.") და შეძლების დაგვარად ზოგს ნაწარმოებს უახლოესი მწერლებისას: ჩეხოვის, კოროლენკოს და გორკის.

ვაცნობებ რა ამას, წინადადებას ვაძლევ ყველა გიმნაზიების უფროსებს თვალყური ადევნონ, რათა აღნიშნული პროგრამა რუსული ენისა წესიერად შესრულებული იქმნას მოწაფეთა მიერ.

დამფუძნებელი კრება.

14 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

სხდომა იხსნება 12 საათსა და 25 წუთზე.

დღიური წესრიგი:

1. საბოლოო ტექსტი—დეკრეტისა სახალხო გვარდიის საჭიროებისთვის სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში 10 მილ. მან. გადადების შესახებ.
2. საბოლოო ტექსტი დეკრეტისა—ერთდროულ სანიტარულ და პირდაპირ სახელმწიფო გადასახადების მყიდველზე გადატანის შესახებ.
3. გაგრძელება მსჯელობისა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვის გამო—ქ. ხონის მცხოვრებთა წარმომადგენლების დაპატიმრების შესახებ.
4. მეორე (მუხლობრივი) განხილვა საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებისა.
5. მეორე (მუხლობრივი) განხილვა 1915 წ. თებერვლის 2-ს კანონისა (გერმანელთა, ავსტრო ჰუნგრელთა და ოსმალთათვის უძრავი საკუთრების შეძენის აკრძალვისა) გაუქმების კანონ პროექტისა.
6. განხილვა დეკრეტისა—სამომრიგებლო ინსტიტუტის ახალ დაწესებულებათათვის ავეჯეულობის შესაძენათ 709.220 მან. გადადების შესახებ.
7. შრომის მინისტრის პროექტი დეკრეტისა მთავრობის განკარგულებაში 50 მილ. მან. გადადებისა მუშების საჭიროებისათვის.

სოც. დემ. ფრაქციის წინადადებით მე 7 მუხლი ისმება მე 5 მუხლათ.

პირველ ორ მუხლს კრება უკამათოთ ღებულობს და ამტკიცებს.

გრძელდება მსჯელობა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვის გამო—ქ. ხონის მცხოვრებთა წარმომადგენლების დაპატიმრების შესახებ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეძლევა ივ. ჭავჭანიძეს.

ივ. ჭავჭანიძე (ს.-დ.). მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! ბ-მა ასათიანმა საპასუხო სიტყვაში ვერ გააბათილა ის ფაქტები და სიტყვები, რომელიც მე მოვიყვანე. შეკითხვაში აღნიშნული იყო, რომ ხონის ქალაქის თვითმმართველობის შენახვა თითქმის ისეთ აუტანელ ტვირთათ აწვა მცხოვრებთ, რომ მათ შორის აღელვება აუცილებელი იყო. ბ-ნ ასათიანს უნდა დაემტკიცებია თვითმმართველობის შტატის მრავალრიცხოვანება. მაგრამ როგორ დაამტკიცებდა ის ამას? მე ვამბობ, რომ ხონის ქალაქის თვითმმართველობის შტატი მცირერიცხოვანია (ორატორი აღნიშნავს თანამდებობებს და მოსამსახურეთა რაოდენობას). ასათიანმა თავის სიტყვაში ახსენა საპროტესტო ხელის მოწერა. მაგრამ მე გეკითხებით, წესიერათ არის შეკრებილი თუ არა ეს ხელის მოწერა? თუ კი გადასახადი არ იწვევდა უკმაყოფილებას, როგორც ეს აღნიშნა წინათ ორატორმა, მაშ რაღა არის უკმაყოფილების მიზეზი? მაგრამ, მე ვამბობ, რომ ეს არის ის ხალხი, რომელსაც ეჯავრება დემოკრატია. ამ მხარეზე იდგა ყოფილი თავად-აზნაურობა. ასათიანს უნდა დაემტკიცებია, რომ მართლაც დიდი ხარჯები აწვა მცხოვრებთ, მაგრამ ეს მან ვერ დაამტკიცა.

შემდეგ ორატორი ეხება საერთოთ დღევანდელ პირობებში ადმინისტრატიულ დატუსაღების მიზან შეწონილობას და კერძოთ ეხება ხონის მცხოვრებთა ერთი ნაწილის მიერ გამოგზავნილ პირების ადმინისტრატიულ დატუსაღებას. ამ ფაქტს ორატორი მიზან-შეწონილათ სთვლის.

საპასუხო სიტყვით, ორატორის შემდეგ, გამოდის სპირიდონ კედია.

სპ. კედია. იმ შემთხვევას, რომელიც თქვენ აქ მოისმინეთ, აქვს მიზნათ განმტკიცდეს ნორმები უფლებისა. მთავრობა კანონს არღვევს (ვლასა მგელაძე ადგილიდან: ეს უნდა დაამტკიცოთ). შინაგან საქმეთა მინისტრმა ვერ დაამტკიცა, რომ ის დაპატიმრებული პირები რაიმეთ დამნაშავენი არიან. მათ გამოსთქვეს მხოლოდ თავიანთი აზრები. ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გამოსთქვას თავისი აზრი, სთქვას თავისი სიტყვა (ჯულილი: ბოლშევიკებს?). დაშინება და ციხეში ჩასმა არ არის მიზან-შეწონილი. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ და ვიქნებით.

ქ. ნინიძე. ჩვენ მოველოდით იმ ფრაქციისგან, რომელიც მუდამ ლაპარაკობს უფლებაზე, ამ უფლებით ისარგებლებდა და როგორც ყველა პარლამენტარულ ქვეყნებშია, გამოიყენებდა ამ შეკითხვას. საზოგადოთ შეკითხვა ააშკარავებს მთავრობის პოლიტიკის უვარგისობას, მთავრობის მოქმედების ნაკლს, აღნუსხავს უკანონობას, რომელიც მთავრობამ ჩაიდინა. რომელი კანონი დაარღვია მთავრობამ? ეს ჯენტლმენები, რომლებიც სულ ამას გვისაყვედურებენ, სად და რაში ნახულობენ კანონის დარღვევას?

როცა მთავრობა ბალშევიკების წინააღმდეგ მოქმედებს, თქვენ მაშინ ტაშს უკრავდით, თქვენ სიხარულით ეგებებოდით მათ წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებს. მაგრამ როცა თქვენ თითონ მოგხვდათ, მაშინ აყვირდით. ეს ჰოტენტოტური მორალია.

ის პირები, რომელნიც დაპატიმრებულ იქნენ, არ იყვნენ დელეგატები, რადგან დელეგატებს ირჩევს ხალხი. ამ შემთხვევაში კი ისინი ხალხს არ აურჩევია.

ხშირათ, როცა თქვენ გვისაყვედურებთ ადმინისტრატიულათ დაპატიმრების გამო, თქვენ მაგალითათ მოგყავთ ინგლისი.

მე მოვაგონებ ამ ჯენტლმენებს, რომ ინგლისი უმკაცრეს ზომებს ღებულობს ასეთ შემთხვევაში—გაიხსენეთ ირლანდიის აჯანყება.

მთავრობა დამნაშავე იქნებოდა, რომ ისინი არ დაეპატიმრებიათ. თქვენ შესაძლოა რესპუბლიკანელები და დემოკრატები იყვეთ, მაგრამ თქვენი მიმდევრები პროვინციაში დარბევისკენ უწოდებენ ხალხს (სპ. კედია: ეს სიმართლეს არ შეეფერება) თქვენ ხელს უწყობთ კონტრ-რევოლიუციას და დენიკინის გამარჯვებასაც.

თავმჯდ. შემოვიდა სოც. დემ. ფრაქციის მიერ წინადადება: შესწყდეს კამათი. ვინაა მომხრე? კამათი შეწყვეტილია. პირადი განმარტებისათვის. სიტყვა ეძლევა გიორგი ფაღავას.

გ. ფაღავა. წინა სხდომაზე ასათიანმა განაცხადა, რომ მე ვიყავი გაგზავნილი ხონში გამოსაძიებლათ. ეს სიმართლეს არ შეიცავს. ხონის ამბების დროს მე ქუთაისში ვიყავი და როცა ხსენებული ამბავი მოხდა ხონში, მე, როგორც დამფუძნებელი კრების წევრი, ადმინისტრაციის უფროსის თანაშემწესთან ერთად გავემგზავრე ხონში საქმის ვითარების გასაგებათ.

ასათიანი. გ. ფაღავას ჩემი სიტყვები სხვაგვარად გაუგია. მე ვსთქვი, რომ დეპუტატი ფაღავა და ადმინისტრაციის უფროსის თანაშემწე აწარმოებდენ გამოძიებას.

შემოდის ორი რეზოლიუცია: ეროვნ.-დემოკ. და სოც.-დემ. კრებამ მიიღო სოც.-დემ. რეზოლიუცია, რომელიც მიზანშეწონილად სთვლიდა მთავრობის ნაბიჯებს.

კრება სწყდება 15 წუთით.

მუშების საჭიროებისთვის 50 მილ. მანეთის მთავრობის განკარგულებაში გადადების შესახებ მომხსენებლად გამოდის გრ. ურატაძე.

გრ. ურატაძე. ბ-ნებო! მე ვფიქრობ, რომ ბევრი ლაპარაკი არ დამჭირდება თუ რა უმწეო მდგომარეობაშია მუშათა კლასი. ყველამას, ვინც მუშათა კლასთანაა, არ შეუძლია გვერდი აუაროს მათ უმწეო მდგომარეობას.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს სიძვირის ზრდას და აღნიშნავს, რომ ხელფასის გადიდება მოხდა 26-ჯერ. ორატორი ხაზს უსვამს იმ მდგომარეობას, რომ მუშებმა იცოდენ, რომ რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა ვერ იყო სასურველ დონეზე. ამას მუშები ანგარიშს უწევდენ. მუშები თვით იღებდენ მხურვალე მონაწილეობას რესპუბლიკის განმტკიცების საქმეში. და ამიტომაც ისინი დღემდე მრავალ გაჭირვებას იტანდენ. ეს გაჭირვება უმთავრესად ფიზიკური იყო. ის მცირეოდენი თანხა, რომელიც მათ გადანახული ჰქონდათ წინა წლებში, შემოეხარჯათ. სიძვირე პროპორციონალურათ იზრდებოდა. მათ არ ყოფნიდათ ქირა.

და ისინი იძულებული იყვნენ გამოეტანათ ბაზარზე გაეყიდათ ავეჯი და სხვა რაიმე ნივთი, რომელიც მათ მოეპოვებოდათ. ასეთმა მდგომარეობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. შრომის სამინისტროში არის სტატისტიკური ცნობები, რომ მუშათა შორის სიკვდილი 20% გაიზარდა. ეს მოვლენა პირდაპირი შედეგია მათი უმწეო მდგომარეობისა. შრომის სამინისტროს არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ამისთვის. ამ მიზნით მან შეიმუშავა პროექტი მთავრობის განკარგულებაში მუშათა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ 50 მილ. მან. გადადების შესახებ. ორატორი აღნიშნავს ამ ნაბიჯის მიზანშეწონილობას და მნიშვნელობას. ხელფასის გადიდება იწვევს საქონლის ფასის გადიდებასაც. ამ შემთხვევაში კი მთავრობა თვით დაეხმარება მუშებს, მიაწოდებს მას ძლიერ დაკლებულ ფასებში საჭირო საგნებს და სხვ...

თავმჯდ. სიტყვა ეკუთვნის შრომის მინისტრის ამხანაგს ბ-ნ ერაძეს.

ბ-ნ ერაძის და ბ-ნ რამიშვილის სრულ სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ.

გემის გამცარცველების დაჭერა.

(საქ. დეპ. სააგ.).

ოზურგეთი. ოქტომბრის 17. 16 ოქტომბერს ნოვოროსიიდან მომავალ გემის „მარიას" გამცარცველები ფელუკით მოადგენ სუფსას და გადმოვიდნენ ნაპირზე. პირველი ცნობა ამის შესახებ მიიღო სუფსის რაიონის მილიციის უფროსმა მეგრელიშვილმა, რომელიც მილიციონერებისა და გვარდიელების თანხლებით დაედევნა ყაჩაღებს. ამის შესახებ ცნობა წავიდა მთელი რკინის გზის ლიანდაგზე. ყოველი მხრიდან იქნენ გამოწვეულნი ძალები. ამოძრავდა მილიცია და გვარდია. დიდი სიფხიზლე და მხნეობა გამოიჩინა თვით ხალხმა. სუფსის მიქელ გაბრიელის და ჩოჩხათის თემთა ხელმძღვანელები შეიარაღებული ძალებით დაედევნენ ყაჩაღებს. ყაჩაღები შეამწყვდიეს ღამის 11 საათზე სამსონ გორდელაძის სახლში სოფ. სამხთოში. ყაჩაღებმა ორჯელ მოინდომეს გაქცევა, მაგრამ ორივეჯერ იქნენ სასტიკი სროლით უკან გაბრუნებული. მილიციის უფროსმა მეგრელიშვილმა გამოიწვია ჯავშნიანი მატარებლიდან ერთი ტყვიისმფრქვეველი, რომელიც მოვიდა დანიშნულ ალაგას გამთენიის.

ღამის 12 საათზე ოზურგეთის გვარდიას და მაზრის მილიციას მოუვიდა ცნობა გემის გაცარცვისა. მილიცია, კომისარი ღლონტის მეთაურობით, დაუყოვნებლივ გაეშურა ჩოხატაურში გზის გადასაჭრელათ. გათენებისას გაეშურენ აღნიშნულ ალაგას დასახმარებლად ოზურგეთიდან გვარდიის რაზმი და ადგილობრივი ჯარის ნაწილი პოლკოვნიკ აბაშიძის რაზმიდან, მაგრამ ამათ მისვლამდე ყაჩაღები დაატყვევეს. გათენებამდის ნახევარი საათის ადრე ყაჩაღების ბინას მიუშვირეს ტყვიისმფრქვეველი და წაუყენეს ყაჩაღებს ულტიმატუმი. მესამე ულტიმატუმზე ყაჩაღები დანებდენ უბრძოლველად. მათმა მეთაურმა, ლადო მანწკავამ, ჩააბარა იარაღები და ყაჩაღები თითო თითოთ ჩვენს რაზმს. სულ დატყვევებულ იქნა 22 კაცი, მათ შორის მარშანიშვილი, მისირაფეიშვილი, ნიკოლაიშვილი, გუჯაბიძე და სხვები. აურიგებელი ფულები ნიკოლოზისა და კერენსკისა. ჩემოდნებში და ტომრებში ფული დაუთვლელია. გაბაწრული ყაჩაღები წამოიყვანეს ოზურგეთში. ხვარბეთში მათ მოუსწრო ოზურგეთიდან გასულმა ერობის გამგეობის თავმჯდომარე ქანტურიშვილმა და ქალაქის თავმა მურვანიძემ, რომელთა ხელმძღვანელობით ყაჩაღები და ფულები ჩამოიტანეს ოზურგეთში. შეიარაღებულ ხალხს საღამოს გაუმართეს ბანკეტი ადგილობრივ კლუბში. ეს იშვიათი გარემოება იწვევს იშვიათ აღფრთოვანებას ხალხში.

ამავე დღეს მაზრის კომისარმა ღლონტმა ჩამოიყვანა ხიდის-თავიდან დატყვევებული ბოლშევიკი ვარდენ კალანდაძე, რომელიც მოათავსეს ადგილობრივ ციხეში.

კოოპერატივთა კავშირის მოღვაწეობიდან.

კულტურულ განმანათლებელ განყოფილების მოქმედება 1918 წლის განმავლობაში.

ქ. სიღნაღში, კურსები მოეწყო ადგილობრივ სირაიონო კავშირის ინერგიულ დახმარებით. კურსები მიმდინარეობდა 9 დეკემბრიდან 2 მდე ორი ინსტრუქტორის—გ. კანდელაკის და მ. მაისურაძის ხელმძღვანელობით. მეცადინეობა იყო დღეში 7 საათი შემდეგი პროგრამით: კოოპერაციის თეორია 3 საათი, კოოპერ. ისტორია 3 ს. უფლებრივი მდგომარეობა კოოპერაციისა ბუღალტერია საერთო (თეორია) 3 ს., ორგანიზაცია და პრაქტიკა მომხმ. კოოპერ. 8 ს., კოოპერატიული საქმის და ვაჭრობის წარმოება 5 ს. და კოოპერატივებში ანგარიშების წარმოება (პრაქტიკული კურსი) 5 საათი. მსმენელნი რიცხვი იყო 17 ადგილობრივ. კოოპერატივებიდან. კურსებით საერთოდ ყველა კმაყოფილი იყო ადგილობრივი სიღნაღის გაზეთში კურსების შესახებ სხვათა შორის ვკითხულობთ. „აღსანიშნავია: მსმენელების ის მუყაითობა და ხალისი, რომელსაც პრაქტიკული მუშაობის დროს იჩენდნენ. ლექტორების ცდამ მიაღწია მიზანს და ანგარიშის წარმოება ორიოდეს გამოკლებით ყველამ კარგად შეითვისა". სხვათა შორის კურსების მნიშვნელობას ახასიათებს ერთერთ მსმენელს მიმართვა ლექტორებისადმი: „თქვენ აქ ელაპარაკებოდით და ასწავლიდით არა ოციოდე კაცს, არამედ ჩვენი მხრის მთელ დემოკრატიას, რადგანაც ჩვენ მოვალენი ვართ აქ მიღებული ცოდნა ჩვენი მხრივ გაუზიაროთ მშრომელ ხალხს, მოვალენი ვართ შევაგნებინოთ ჩვენ გლეხკაცობას კოოპერატიული აზრები, დაუმტკიცოთ მას ერთობის ძალა და პირობას ვსდებთ, რომ ჩვენ შევასრულებთ კიდეც ამას".

ჭიათურაში კურსები მოეწყო ადგილობრივ ახლად დაარსებულ სარაიონო კავშირთან.

კურსები მიმდინარეობდა 26 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე ინსტრუქტორის—პ. კახელაძის და ი. მიქაძის ხელმძღვანელობით. მეცადინეობა იყო დღეში 5 საათი, სულ 50 საათი საერთო მიღებული პროგრამით. მსმენელთა რიცხვი იყო 38; აქედან 20 იყო კოოპერატივების მიერ გამოგზავნილი, ხოლო 18 თავიანთი სურვილით მოსულნი.

ზესტაფონი. კურსები მიმდინარეობდა 12 დეკ. 25 დეკემბრამდე, ე. ი. 14 დღეს. მეცადინეობა იყო მხოლოდ საღამოობით 3—7 საათამდე

ანუ 4 საათი და სულ 55 საათი. პროგრამა კურსებისა იყო ჩვეულებრივი, მხოლოდ დაემატა ორი ლექცია ინსტრ. შანიძესი „ერთობა და კოოპერაცია“ და „კოოპერაცია და სოციალიზმი“. მსმენელთა რიცხვი იყო 29; აქედან 15 კოოპერატივის მიერ იყო გამოგზავნილი, ხოლო დანარჩენი 14 თავიანთ სურვილისამებრ დასწრებული მსმენელი.

ამ ორი კურსების (ქიათურის და ზესტაფონის) შესახებ ინსტრუქტორი აღნიშნავს, რომ ქიათურის კურსებმა მასზე უფრო უკეთესი შთაბეჭდილება დასტოვა ვიდრე ზესტაფონისამ, ჯერ ერთი იმით, რომ ქიათურაში მსმენელთა მომეტებულ ნაწილს მსმენელებისას შეადგენენ ადგილობრივ—ზესტაფონში შემდეგ მომზადების მხრივ ქიათურის კურსების მსმენელნი უფრო ერთფეროვნებას წარმოადგენდნენ, რაიც ხელს უწყობდა მეცადინეობაში და რის გამოც ქიათურაში მსმენელებმა უფრო მალე შეითვისეს კურსების პროგრამმა, ვიდრე ზესტაფონში, საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ კურსებიდან ეხლა მსმენელნი უფრო მეტ ცოდნას გამოელიან და მაშასადამე, საჭიროა უფრო ხანგრძლივი იყოს კურსები

სამტრედიაში. კურსები მოეწყო კავშირის ინსტრუქტორების მ. მაისურაძის და ქ. კორძახიას მეცადინეობით 1 ენკენისთვიდან 15 ენკენისთვემდე. კურსებზე მსმენელთა რიცხვი იყო 23. კურსების შემადგენლობის უმრავლესობას ჰქონდა გათავებული ორი და ოთხ კლასიანი სასწავლებლები, მსმენელთა შორის 10 კაცმა საუკეთესოთ შეითვისეს კურსების პროგრამა და 13 საშუალოდ. კურსების პროგრამა ჩვეულებრივი იყო.

აბაშაში. აქ კურსები დიდი წვალებით მოეწყო; ადგილობრივმა კოოპერატივებმა საოცარი გულგრილობა გამოიჩინეს. ინსტრუქტორის წინადადებას, რომ კურსებზე კოოპერატივებს თითო კაცი მაინც გამოეგზავნათ მხოლოდ იმიტომ, რომ როგორმე ინსტრუქტორი თავიდან მოეშორებინათ, კურსების გახსნის დღეს გამოცხადდა 5 კაცი, აქედგან მხოლოდ ორი კაცი იყო პროვინციიდან. მხოლოდ იმის წყალობით, რომ ინსტრუქტორმა შესძლო თავის საუბრებით დაინტესება ამ მცირე რიცხვი მსმენელებისა, ორიოდე დღის განმავლობაში მსმენელთა რიცხვი გახდა 22. ამ კურსებს ხელმძღვანელობდა ინსტრუქტორი მ. ტოროშელიძე. კურსები გაგრძელდა ორ კვირას. შედეგი ამ კურსებისა, როგორც გადმოგვცემს ინსტრუქტორი, იყო ის, რომ ექვსმა მსმენელმა საფუძვლიანად შეითვისეს საგნები და მეტადრე ანგარიშების წარმოება; ერთ პირს ამ რიცხვიდან შეეძლება თითონ დააყენოს ანგარიშის წარმოება, რაც გინდ აწეწილი იყოს ის ამა თუ იმ კოოპერატივში, 4 კაცს შეუძლიანთ კარგათ შეასრულონ მოანგარიშის მოვალეობა კოოპერატივებში, დანარჩენებს შეუძლიანთ აწარმოვონ წიგნები მხოლოდ გამოცდილი პირის ხელმძღვანელობით.

ოზურგეთში. კურსები მოეწყო ინსტრუქტორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით 23 იანვრიდან 3 თებერვლამდე. მსმენელთა რიცხვი იყო 16 და ყველანი კოოპერატივებიდან იყვნენ გამოგზავნილი. კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელთაგან შესდგა მოანგარიშეების კოლეგია.

7. **რაჭაში.** კურსები მოეწყო კავშირის ინსტრუქტრების მ. ტოროშელიძის და გ. კანდელაკის ხელმძღვანელობით 28 აგვისტოდან 8 ენკენისთვემდე. მიუხედავათ იმისა, რომ რაჭაში, შედარებით სხვა რაიონებთან, უფრო ცოტა კოპერატივებია და უფრო ძნელი იყო მსმენელთა დიდი რიცხვის შეკრება, მაინც მსმენელთა რიცხვი 13 იყო. მეცადინეობა იყო დღეში 7 საათ. ჩვეულებრივი პროგრამით.

კურსების მოწყობა განზრახული იყო კიდევ სხვა ადგილებშიაც, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო კურსები ვერ შესდგა. დუშეთში კურსები უნდა მოწყობილიყო 24 ნოემბრიდან ორი ინსტრუქტორის ქ. კორძახიას და თ. თაქთაქიშვილის ხელმძღვანელობით ამ დროსთვის ინსტრუქტორები კიდეც გაემგზავრნენ დუშეთში, დუშეთის კავშირმა ყოველი ზომა მიიღო კურსების მოსაწყობად, მაგრამ, სამწუხაროდ, სოფლის კოოპერატივებიდან არც ერთი კაცი არ გამოცხადებულა 29 ნოემბრამდე. სამაგიეროდ კურსების მსმენელებად ბლომად ჩაწერილიყვნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, უსაქმო, თავისუფალ პროფესიის ხალხი და ასე გასინჯეთ სპეკულიანტებიც კი. 23 ჩაწერილ კაცში გაცხრილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ რომ 3 კაცი შეიძლებოდა ოდესმე გამოსადეგი ყოფილიყვნენ კოოპერატივებისთვის. მხოლოდ ამ 3 კაცისთვის, რასაკვირველია, კურსების მოწყობა ტყუილი დროს დაკარგვა იქნებოდა და ამიტომ გადაიდვა სხვა დროისთვის.

ვერ მოეწყო კურსები აგრეთვე გორშიაც. აქ კურსების მოუწყობლობის მიზეზი, როგორც გადმოგვცემს ინსტრუქტორი, შემდეგი იყო: ჯერ ერთი სწორედ იმ ხანებში, როდესაც კურსები უნდა მოწყობილიყო 15 დეკემბერს გამოცხადდა ომი სომხეთთან, ამ დროს სწარმოებდა მობილიზაცია და კურსებისთვის არავის ეცალა, მეორე წლის ბოლო, მოახლოებული იყო, ყველას უნდოდა წლიური ანგარიში შეედგინა ინსტრუქტორის დახმარებით და კურსები კი არ აინტერესებდათ.

ამნაირივე მიზეზების გამო ვერ მოეწყო კურსები თელავში.

ინსტრუქტორებს, გარდა პრაქტიკულ მუშაობისა, რომელიც ართმევდა დიდ დროს და ენერგიას საერთო ხელმძღვანელობის გაწევა, საზოგადო კრებების ხელმძღვანელობა და კოოპერატ.იდეების გავრცელება სჭირდებოდათ.

(გაგრძელება იქნება)

სატარიფო პალატაში

16 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ი. გოლდმანი.

მუხარინსკის შემოაქვს წინადადება, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნეს საკითხი სატარიფო პალატის ნაკაზზე.

გოლდმანი ფიქრობს, "რომ ვინაიდან სატარიფო პალატის წინაშე სდგას გასარჩევათ მეტათ სერიოზული საკითხი, ამიტომ მას არ შეუძლია სხვა რაიმე საქმეს, გარდა ამისა, მიაპყრას ყურადღება.

თუ სატარიფო პალატამ ვერ შესძლო დასახულ მიზნის მიღწევა, თუ მან ვერ მოაწესრიგა მუშებისათვის საქონლის იაფ-ფასებში მიცემა, მაშინ დადგება საკითხი თვით სატარიფო პალატის არსებობაზე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ მუშათათვის საქონლის იაფ ფასებში მისაწოდებლათ საჭირო ფონდის დაარსების შემდეგ გამომუშავებულ იქნეს სატარიფო პალატის ნაკაზი.

ტარიფის დამტკიცება.

სატარიფო პალატა შეუდგა რა დღის წესრიგში დასმულ საკითხთა გარჩევას დაამტკიცა სამუშაო ფასის შემდეგი ტარიფები:

1) საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეთა ტარიფი.

იმ მოსამსახურეთათვის; ვინც ღებულობდენ 2000 მან. ზევით დადგენილ იქნა მოემატება 25%-ით, ვინც ღებულობდა 2000 მანეთამდე —30% ით, ვინც ღებულობდა 1500 მან.— 35% ით და ვინც ღებულობდა 1000 მან., მათთვის დაწესდა მომატება 40%-ით. ეს მომატება შემოღებულ იქნა 1 აგვისტოდან.

2) ქალაქთა კავშირის ქარხნის მეტყავეთა ტარიფი. დღიური ქირა დადგენილ იქნა— 53 59 და 69 მანეთი.

სამკერვლო სახელოსნოში მომუშავეთა ტარიფი. ეს დარგი წარმოებისა გაყოფილ იქნა სამ კატეგორიათ. ის მუშები, რომელნიც მსახურებენ პირველ ხარისხის სახელოსნოში, ღებულობენ თვეში 2200 მან. და ნაჭრობით კი მოსახურავ და პიჯაკში—450 მან. შარვალში —130 მან. და ჟილეტში—125 მ. მეორე ხარისხიან სახელოსნოში ღებულობენ თვეში 1600 მან. ან და ნაჭრობით—მოსახურავ და პიჯაკში—400 მან. შალვარში—100 მან. და ჟილეტში 80 მ. მესამე ხარისხის სახელოსნოში ღებულობენ თვეში 1200 მან. და ნაჭრობით კი მოსახურავ და პიჯაკში—325 მან.

სახლში მომუშავენი ღებულობენ ნაჭერში 10—15 მანეთით მეტს.

ამ ტარიფების დაწესების დროს ყურადღება მიექცია იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს ამ სახელოსნოს მუშების მიერ მიღებულ ხელფასსა და იმ ფასს შორის, რომელსაც ღებულობს მკერავი (პორტნოი) თავის მუშტრებისაგან, რომელიც უდრის კოსტიუმის შეკერვაში—2.500 მ.

დაისვა საკითხი შეკერვაზე ტაქსის დაწესების შესახებ და გამოითქვა სურვილი, რომ ეცნობოს ფართე საზოგადოებას ის ხელფასი, რომელსაც ღებულობენ ამ სახელოსნოს მუშები.

ეპარქიალურ სანთლის ქარხნის მუშების ტარიფი.

ამ მუშებისათვის წესდება ტარიფი 1.500 მანეთამდე—875 მანეთამდე.

ტარიფი ქ. ქუთაისის მკერავთა.

გამოირკვა, რომ ქუთაისში ასეთ სახელოსნოს მუშათა და მკერავთა (პორტნოების) შეთანხმებით დაწესებული ტარიფი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვინემ ტფილისში, მაგ. იქ ხელოსანი მოსახურავის შეკერვაში ღებულობს—240 მან., პიჯაკის შეკერვაში –180 მ. და სხვა.

ტარიფი ქუთაისის თეატრი „რადიუმი“ს მოსამსახურეთა გაუთანასწორდა ტფილისის მეორე ხარისხოვან თეატრის მოსამსახურეთა ჯამაგირს.

თელავის საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეთა ტარიფი გაუთანასწორდა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა ჯამაგირებს.

ბორჟომის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეთა შუამდგომლობა.

ბორჟომის მამულის მოსამსახურეებს შეუტანიათ შრომის სამინისტროში და დამფუძნებელ კრებაში საჩივარი ადმინისტრაციაზე იმის გამო, რომ უკანასკნელი არ აკმაყოფილებს მათ თხოვნას შესახებ მათზე 2 აგვისტოს მომატების გავრცელებისა. ადმინისტრაცია კი ამ შუამდგომლობაზე უარის თქმას ასაბუთებს იმით, რომ ბორჟომის მამულის მოსამსახურეებმა უკვე მიღეს ორი მომატება მარტიდან, რამაც გაადიდა მათი ჯამაგირი 130%-ით.

სატარიფო პალატის პრეზიდიუმი ამ შემთხვევაში ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ეს შუამდგომლობა აღძრულია მხოლოთ ბორჟომის მამულის მოსამსახურეთა მიერ, რომელიც რიცხვი უდრის 150 კაცს, მაშინ როდესაც მუშებს, რომელთა რიცხვიც აღემატება 2 000 კაცს, ასეთი შუამდგომლობა არ აღუძრავთ. სატარიფო პალატა, იღებს რა სახეში, რომ ბორჯომის მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირები უთანასწორდება სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა ჯამაგირს, რომ გარდა ამისა ისინი სარგებლობენ უფასო ბინით, გათბობა-განათებით, აგრეთვე მათ ეძლევათ დაკლებულ ფასებში სურსათი ახალქალაქიდან და სხვა კუთხიდან და რომ საერთოდ ბორჯომში ცხოვრება უფრო იაფია, ვინემ ტფილისში გარდა ზაფხულის თვეებისა (აგარაკობის დროს), ადგენს უყურადღებოდ იქნას დატოვებული მათი შუამდგომლობა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ დამტკიცებულ იქნა პრეზიდიუმის დადგენილება.

მეთუთუნეთა სექციის შუამდგომლობა, რომ ისინი გაანთავისუფლონ ჯარიმისაგან, რომელიც უდრის მუშათა ხელფასისათვის 25%-ის მომატებას, რაც სატარიფო პალატის მიერ დადგენილ იქნა თუთუნის მწარმოებელთა მიერ ამ ქარხნის მუშებთან სეპარატიულად შეთანხმების გამო, რომლითაც ხელფასი გადიდებულ იქნა ორმოცდა ათი პროცენტით წინააღმდეგ სატარიფო პალატის დადგენილებისა. სატარიფო პალატის პრეზიდიუმი ფიქრობს, რომ ეს შუამდგომლობა თუთუნის მწარმოებელთა უნდა იქნეს უყურადღებოთ დატოვებული ისევე, როგორიც ანალოგიური შუამდგომლობა თუთუნის ქარხნის მოსამსახურეთა მხრივ.

მუხარინსკი აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება მწარმოებელთა მუშებთან მოხდა უკანასკნელთა ძალდატანებით და რომ ბოლოს ეს შეთანხმება არ ეწინააღმდეგება სატარიფო პალატის პრინციპებს.

აბდუშელი ამტკიცებს, რომ თუთუნის მწარმოებლებს თავიდანვე განსაკუთრებული პოზიცია დაიჭირეს სატარიფო პალატისადმი, არ აძლევდენ უკანასკნელს არავითარ ცნობებს-ჩვენებებს და სრულებით ანგარიშს არ უწევდნენ მას, მხოლოთ დაჯარიმების შემდეგ დაიწყეს იმისი მტკიცება, რომ მათ არაფერი უკანონობა არ ჩაუდენიათ. ამ საქმეში ორივე მხარე, როგორც მწარმოებელნი, ისე მოსამსახურენი ერთნაირათ დამნაშავე არიან ამ დაჯარიმებისა.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ დადგენილება პრეზიდიუმისა მეთუთუნეთა სექციის შუამდგომლობის უყურადღებოთ დატოვების შესახებ მიღებულ იქნა.

წინადადება მუხარინსკისა, რომ სატარიფო პალატას დაედგინა ხელახალი გადასინჯვა ამის მიერ დაწესებულ დადგენილების დაჯარიმებაზე, ვინაიდან ორატორის აზრით არ იყო საქმის მდგომარეობა ყოველმხრივ საკმარისად გამორკვეული, უარყოფილი იქნა.

ტაქსის დამწესებელ კომისიის წევრთა არჩევა.

ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ სატაქსო კომისიაში სატარიფო პალატის წარმომადგენლებათ არჩეულ იქნენ თამაზაშვილი და ბრაილოვსკი, რომელთა მოვალეობას შეადგენს ეცადონ, რომ საქონელზე ფასის დაწესება შეეფარდებოდეს სამუშაო ხელფასს.

(დასასრული იქნება)

თანამედროვე დემოკრატიის უფლება.

საპარლამენტო არჩევნების უფლება თანამედროვე დემოკრატიაში.

1. პრინციპი უმრავლესობისა თანამედროვე დემოკრატიაში.

შედარებით გვიან, მხოლოდ რომაულ უფლების რეცეპციის დროიდან, ევროპიულ სახელმწიფოთა წრე გაეცნო პრინციპს უმრავლესობისას. პირველათ მით ისარგებლეს საეკლესიო არჩევნებში. პრინციპი, რომლის მიხედვით უმრავლესობამ უნდა იბატონოს უმცირესობაზე, ნაცნობი იყო სახელმწიფოს შესახებ დემოკრატიული მოძღვრებისათვის უკვე „მშვიდობიანობის დამცველ“, defencor pacis, მარსილიუს პადოველის დროიდან (1272 წ.—1342/43 წ.) ესე იგი მეთოთხმეტე საუკუნედან. მაგრამ ამ პრინციპის საფუძველი ამოჭყავს ბუნებრივ უფლების შესახებ მოძღვრებას, რომლის თანახმათ სახელმწიფოს დაარსების დროს ხალხის წევრები ხელშეკრულებას სდებენ იმის გამო, რომ უმრავლესობამ იბატონოს უმცირესობაზე. ამ მიმართულებით გერმანიაში სწერდა ქრ. ვოლფი: „ისინი, ვინც ერთდებიან სახელმწიფოში, ხმაამოუღებლივ თანხმდებიან, რომ ის, რასაც საჭიროთ მიიჩნევს უმრავლესობა, უნდა ჩაითვალოს მთელი ხალხის ნებათ“... ამავე მიმართულებით ინგლისში სწერდა ლოკკი. მაგრამ ამ მოძღვრების საბოლოო კავშირი დემოკრატიასთან და სახალხო სუვერენიტეტთან განამტკიცა მხოლოდ რუსსომ (Contrat social, luvre IV, ch. II): „არის მხოლოდ ერთი, ერთად ერთი კანონი, რომელიც თავის ბუნების მიხედვით მოითხოვს საყოველთაო თანხმობას: ესაა საზოგადოებრივი ხელშეკრულება; ვინაიდან საზოგადოებაში შესვლა არის მეტისმეტათ ნებაყოფლობითი აქტი ამ ქვეყანაზე. რადგან თვითეული ადამიანი დაბადებულია თავისუფალი და თავის ნებით განაგებს საკუთარ პიროვნებას, ამიტომ არავის არ შეუძლია, როგორი საბაბიც არ უნდა მოსძებნოს, დაიმონოს იგი მის დაუთანხმებლათ... ამ პირველდასაწყისი ხელშეკრულების გარდა, უმრავლესობის გადაწყვეტილება ავალდებულებს ყველა დანარჩენს: ეს თვით ხელშეკრულების შედეგია“. და საარჩევნო კენჭის ყრის დროს პრინციპი უმრავლესობისა რუსსოსათვის არის საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგი: „თვით კანონი უმრავლესობის ხმებისა დაწესებულია შეთანხმებით და გულისხმობს ერთხმოვანებას, თუ გინდ მხოლოდ მარტო ერთჯერ“. საზოგადოებრივი ხელშეკრულება და სახალხო სუვერენიტეტი არჩევნების დროს უფრო მეტათ შეკავშირებული ჩანს პრინციპთა უმრავლესობისა. მაინც რუსსომ შეიგნო თავის დედუქციის სისუსტე და სისუსტე უმრავლესობის პრინციპისა. „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ მე IV წიგნში, მე II თავში იგი ამბობს: „მაგრამ სდგება საკითხვი, როგორ შეიძლება ადამიანი იყოს თავისუფალი და ამავე დროს იძულებული დაემორჩილოს სხვის ნებას? როგორ შეიძლება ამა თუ იმ კანონის მოწინააღმდეგენი იყვნენ თავისუფალნი—და ამავე დროს მორჩილნი იმ კანონისა, რომლისთვის მათ თავისი თანხმობა არ მიუციათ? ამაზე მე

ვუპასუხებ, რომ საკითხი სწორათ არაა დასმული. თვითეული მოქალაქე თავის თანხმობას იძლევა ყველა კანონზე და მათზეც, რომელნიც გამოცემული არიან მის ნების გარე და მათზეც, რომელნიც სჯიან მას, როდესაც იგი გაბედავს დაარღვიოს რომელიმე მათგანი. სახელმწიფოს ყველა წევრთა მუდმივი ნება არის საერთო ნება; ამ საერთო ნების წყალობით ისინი—მოქალაქენი—თავისუფალნი არიან. როდესაც ხალხის კრებაზე შემოაქვთ კანონი,—მათ სრულებით იმას კი არ კითხავენ: იწონებენ ამ წინადადებას თუ უარყოფენ მას, არამედ კითხავენ: ეთანხმება ეს წინადადება საერთო ნებას, რომელიც არის მათი ნებაც, თუ არა: თვითეული, რომელიც ხმას აძლევს, თავის შეხედულებას გამოსთქვამს ამ კითხვის შესახებ, და ხმის დათვლიდან გამომდინარეობს საერთო ნების გამოაშკარავება. ამგვარათ, როდესაც ჩემი მოწინააღმდეგე შეხედულება გაიმარჯვებს, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მე შევცდი, და ის, რასაც მე საერთო ნებათ ვსთვლიდი მართლაც მას ეწინააღმდეგება. რომ ჩემს კერძო შეხედულებას გაემარჯვა, მაშინ მე მოვიმოქმედებდი რაიმე სხვას, ვინემ მას, რაც მე მსურდა გამეკეთებია. და სწორეთ მაშინ მე არ ვიქნებოდი თავისუფალი“.

სოფიზმი, რომლის შემწეობითაც რუსსო ამართლებს უმრავლესობის ბატონობას კანონმდებლობის საქმეში, ერთ მის საუკეთესო ბრწყინვალე სოფიზმთაგანს ეკუთვნის. მაგრამ მხოლოდ სოფიზმს! სრულებრივ აუტანელი ხდება დემოკრატიულ სახელმწიფოში უმრავლესობის ტირანია არჩევნებში. განსაკუთრებით ეს მართალია იქ, სადაც მეტათ ძლიერათაა განვითარებული პარტიობა, რომელსაც რუსსო ჯერ კიდევ არ იცნობდა. პირველად ყოვლისა პარტიის ყოვლადშემძლეობა პარტიის თვითეულ წევრს აკისრებს ისეთ უღელს, რომ იგი არჩევნებში ხდება უსიტყვო ხმისმიმცემ ცხოველათ (stimmvier), შემდეგ, თუ კანონმდებლობაში მეფობს პარტია, იგი იმდენათ ამახინჯებს საარჩევნო ოლქებს, რომ უმცირესობა თითქმის სრულებრივ იჭყლიტება. თუ გამოვალთ იმ სწორ შეხედულებიდან, რომ ხალხი არის სახელმწიფოს ორგანო, რომ იგი თავის საარჩევნო ნებით ცალკერძივ მიუთითებს, რომ X და У სწორეთ ის დეპუტატია, რომელიც სახელმწიფოს ყველაზე მეტ სარგებლობას მოუტანს,—შემდეგ: თუ—როგორც ეს აუცილებელია დემოკრატიაში—გამოვალთ იქიდან, რომ ცალ-ცალკე თვითეული ამომრჩეველი სხვებთან ღირებულება სწორი და უფლება თანასწორი, ანხორციელებს ამ საარჩევნო ნებას, მაშინც უმრავლესობის ბატონობა, ყოველ შემთხვევაში, უნდა უარყოფილ იქნეს, როგორც დემოკრატიული თანასწორობის მოწინააღმდეგე. ამას გრძნობდენ ისეთები, რომელნიც სიესის მაგვარათ, პრიცეპს უმრავლესობას სთვლიდენ „უდავო დასაწყისათ“. იგი და სხვები თვითეულ ამომრჩეველს მიაწერენ თანასწორ საარჩენო ღირებულებას „მე—ამბობს სიესი—წარმომიდგენია კანონი უსაზღვრო დიდ გლობუსის ცენტრში: გამოუკლებლივ ყველა მოქალაქე იმყოფება მისგან თანაბარ მანძილზე და უკავიათ იქ თანასწორი ადგილები“. აქედან სიესი დაასკვნის, რომ ერთი რომელიმე მოქალაქის წარმომადგენლობა „არ შეიძლება იყოს ნაწევარი მეორეს წარმომადგენლობისა. ეს უფლება ერთია: ყველა ანხორციელებს მას თანაბრათ“. მართალია, ამ პოსტულატის წამოყენება უფრო ადვილი იყო, ვინემ განხორციელება; ეხლაც თანამედროვე დემოკრატიის უმთავრესი პრობლემა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულ ამომრჩეველს უზრუნველყოს თანასწორი საარჩევნო ღირებულება. ვინაიდან ერთი უმთავრესი დაბრკოლება სდგას მის განხორციელების გზაზე: არ შეიძლება იმდენათ არითმეტიკულათ სწორეთ, როგორც თეორიაში გაანაწილოთ საარჩევნო ოლქები მცხოვრებთა რიცხვზე. თუ გინდ ესეც შესაძლებელი გახდეს, მაინც ვერაფერი დაუშლიდა იმას ხელს, რომ რომელიმე საარჩევნო ოლქში უმრავლესობას უმცირესობა არ დაეჩაგრა. თანამედროვე დემოკრატიის მიერ შექმნილი საშუალებანი იმ მიზნით, რომ ეს სიძნელენი გადაელახათ, განიყოფებიან ორ მთავარ ჯგუფათ. ერთი ჯგუფი სცდილობს გაანელოს უმრავლესობის პრინციპი იმით, რომ იგი თანდათან ადიდებს ამომრჩეველთა რიცხვს და თანდათან ამოკლებს საარჩევნო უფლების პირობებს და ამით სცდილობს მიუახლოვდეს საყოველთაო საარჩევნო უფლებას მის იდეალურ სახეში. მეორე ჯგუფი შესდგება იმ საშვალებებისაგან, რომელნიც ისწრაფვიან ამომრჩევლებისათვის უზრუნველყონ მათი ხმის თანაბარი ღირებულება.

II: ამ პრინციპთან დაკავშირებულ ნაკლთა მოსპობის საშუალებანი.

პირველათ ყოვლისა მივმართოთ იმ საშუალებებს, რომელნიც საარჩევნო საფუძვლის მეტათ შესაძლებელ გაფართოვებით სცდილობენ შექმნან ნამდვილი, არა ყალბი ნება უმრავლესობისა. ეს ყოველ შემთხვევაში ნაბიჯია წინ იმ საარჩევნო დაწესებულებათა მიმართ, რომელნიც ქმნიან უმრავლესობის ტირანიას, მაშინ როცა ამასთან ერთი შეხედვით, გაბატონებული უმრავლესობა არის ფაქტიურათ მხოლოდ უმცირესობა. საარჩევნო საფუძვლის გაფართოვებით უახლოვდებიან დემოკრატიულ იდეალს, რომლის თანახმათ ისინი, ვისაც მართავენ, თავის თანხმობით ქნიან მათზე მებატონე-ხელისუფლებებს; 1776 წლის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციამ (Declaration of jndependence) შემდეგი მშვენიერი გამოხატულება მისცა ამ იდეალს: „რომ უზრუნველყოფილ იქნენ ეს უფლებანი, და სახელდობრ სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერების საკუთარ იდეალისაკენ მისწრაფება ადამიანთა შორის ფუძნდებიან მთავრობანი, რომელთა ხელისუფლებანი გამომდინარეობენ მათ თანხმობისაგან, ვისაც მმართავენ (consent of qoverned)“.

ეს შეხედულება სწორეთ ასევე ფესვმოდგმულია პურიტანების მოძღვრებაში. ასე, მაგალითად, უკვე რენბორომ სთქვა „Aqreement“-ის შესახებ კამათის დროს: „მე ვფიქრობ, ცხადია, რომ ყოველმა, რომელსაც ცხოვრება მოუხდება ცნობილ მთავრობის ხელისუფლებაში, პირველათ ყოვლისა წინასწარ უნდა გამოსთქვას თანხმობა ასეთ მთავრობისადმი დამორჩილებაზე; და მე ვფიქრობ, რომ უღარიბესი ადამიანი ინგლისში არ დაემორჩილება იმ კონსტიტუციას, რომელსაც იგი არ დაეთანხმა“.

ჩრდილო-ამერიკის კავშირის შტატები სცდილობენ რაც შეიძლება დაუახლოვდენ ამ „so nsent of governed“—ვისაც მართავენ, მათ თანხმობას—შემდეგი საშუალებით. საჰასაკო ცენზი ყველგან დაწესებულია 21 წელი (შვეიცარიაში 20 წელი, ცუგაში 19, უნტერვალდენში და შვიცში კი 18 წელი). კავშირის ზოგიერთ შტატში ჭარყოფილია უცხოელებისთვისაც და ქალთა სქესის პიროვნებათათვისაც კი გამონაკლისი. ასე, მაგალითად, შტატში: იხდაგო, უომინგი, უტახი და კოლორადოში ქალებს უფლება აქვთ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, ზოგიერთ შტატებშიც უცხოელებსაც აქვთ საარჩევნო უფლება, თუ ისინი გამოსთქვამენ ნატურალიზაციის სურვილს, რომ ამომრჩეველი მეტისმეტად არ შეიბორკოს განსაზღვრული საარჩევნო ოლქით და სახელდობრ თუ იგი თავის ხელობის მიხედვით უნდა იმყოფებოდეს სხვა ადგილას, 1901 წელში გამოცემული კანზასის შტატის კანონი მიუწერს, რომ თვითეულ რკინისგზელ კონდუქტორს, რომელიც სამსახურის საქმეთა გამო თავის საცხოვრებელ უბანში არ იმყოფება, შეეძლოს იარჩევნოს თავის დროებით სამყოფ რაიონში. საარჩევნო უფლების მისაღებად გადასახადს გადიხდის მოთხოვნილებას უკვე აღარ უდგენს კავშირის უმრავლეს შტატებში.

საშუალებათა აქ მოყვანილ ჯგუფს მჭიდროთ ეკვრიან ის საშუალებანი, რომელნიც, თუმცა საარჩევნო საფუძველს არ აფარეზენ, მაგრამ ისწრაფიან კი სხვა გზით მიაღწიონ ნამდვილ და არა ყალბ ნებას უმრავლესობისას. ასეთი საშუალებათაგანია — „Avstralian Ballot“ (ავსტრალიური კენჭისყრა), რომელიც კავშირის უმრავლეს შტატებშია შემოღებული და ეს საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფომ სახელმწიფოს ხარჯზე უნდა დაბეჭდოს საარჩევნო ბიულეტენები, რომელზეც აღნიშნული იქნებიან პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატები. მაგრამ ამით რომ კიდევ არ გაიზარდოს პარტიათა ბატონობა, უმრავლეს შტატებში (გარდა სამხრეთ დაკოტისა) აღიარებულია, რომ ამომრჩეველი არ არის შეზღუდული მხოლოდ არჩევნებში წამოყენებულ კანდიდატებით, რომელნიც სიებში არიან მოთავსებულნი. „ავსტრალიური კენჭისყრის მიზანია თვითეულ ამომრჩეველს უზრუნველყოს მისი დაუფასებელი უფლება, საარჩევნო უფლება და დაიცვას იგი საარჩევნო მოსამართლეების მოტყუებისაგან, ბოროტმოქმედებისაგან და უგნურებისაგან“. იგივე მიზანს მისდევენ კენჭის ყრისათვის ავტომატიური მანქანების დადგმით, რაც არსებობს ზოგიერთ შტატებში, მაგალითად, ოგიო, როდ აილენდ და კანზასში. ეს მანქანები არ უშვებენ თვითნებობას ეგრედ წოდებულ საარჩევნო კომისიების მხრივ არჩევნების შედეგების დათვლის დროს და ამა თუ იმ ბიულეტენის ვარგისობა—არ ვარგისობის დროს.

უმრავლესობის ნამდვილ ნების გამოაშკარავებას ემსახურება აგრეთვე ეგრედ წოდებული საარჩევნო ვალდებულება დამსჯელი სანქციით, რომელიც დაწესებულია, მაგალითად, ჩრდილო დაკოტის კონსტიტუციაში 1898 წ. და აგრეთვე გვხვდება ზოგიერთ შვეიცარულ კანტონებში (ასე მაგ. ციურიხ, შაფჰაუზენ, სან გალენ, ტურგაუ, აარგაუში და შემცირებით გრაუბინდენშიც.) მექსიკაში და სან სალვადორში დაწესებულია საარჩევნო ვალდებულება ისე, რომ კანონი დამსჯელ სანქციას არ მიმართავს.

თანამედროვე დემოკრატია დაეძებს საშუალებებს, რათა თვითეული ამომრჩევლის საარჩევნო ღირებულება ასწიოს და მისთვის უზრუნველყოს სხვებთან თანასწორი ძალა. ამ საშუალებათაგან უფრო საპატიოა:

განცხადებანი

ნიკო მიხეილის ძე ბანდალაშვილი აცხადებს, რომ მისი ცოლი ანნა მიხეილის ასული ბანდალაშვილი დაკარგულია უკვალოდ. ყველა, ვინც იცის მისი საცხოვრებელი, ვალდებულია განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს. 1352 2—2

დავკარგე უვადო პასპორტი მიღებული შორაპნის მაზ. სოფ. შროშის სოფლის სამმართველოდან, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს იპოლიტე მიქელას-ძე შველიძე. 1558 3—3

იასონ დიმიტრის ძე ჯალაღანია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ტყვეობის დროს ატესტატი, მიღებული ხონის ყოფილ სამოქალაქო სასწავლებლიდან. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1559 3—2

ერვან ავეტიკის ძე სარქისოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1563 3—2

დაკარგული დუბლიკატები ფოთი—ბაქო. გამგზავნი არის ფეოფილაქტი, მიმღები—რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოება. 1917 წ. ნოემბრის—15-ს გაგზავნილია თხილი № 68390 152 ტომარი 537 ფუთი. № 68891 151 ტ. 836 ფ. გაუქმებულათ ითვლება. 1549 3—2

დაკარგულია ოდესაში კვიტანცია რუსეთის საზოგადოების ტფილ. კონტორისა № 6187187 19 ყუთი საპნისა და 4 ყუთი ქელატიხისა მიღებული გ. მ. კოგანიდან და დაზღვეული 5000 მ. კვიტანცია გაუქმებულათ ითვლება. 1544 3—2

იოსებ სტეფანეს ძე მეფრუცკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ოდესის მდაბიო მოქალაქეთა სამართველოდან 1915 წ. ივლისის 10-ს. № 1348, ხუთი წლ. ვადით. 1541 3—2

კარაპეტ ხაჩატურის ძე ტერ ანდრიასოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ახალციხის მდაბიო მოქ. სამართველოდან 1909 წ. ივლისის 15-ს № 1912 1912 3—2

ივანე (იგივე პეტრე) მიხეილის ძე დოლმაზაშვილმა, დავკარგე უვადო პასპორტი მიცემული ტფილისის პოლიცმეისტერისაგან 1913 წ, № 201 ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1566 3—2

დავკარგე ტფილისის სასულიერო სემინარიიდან 24 მაისს 1912 წ. მიღებული ცენზის მოწმობა. დავით ერასტის ძე ხვედელიძე. 1545 3—3

მიკირტიჩ ეგორის ძე პეტროსიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რუსეთის ქვეშევრდომობის მოწმობა, მიღებული რუსთა ეროვნულ საბჭოდან № 57, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1557 3—3

დავკარგე სალექციო წიგნაკი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის 1-ლ კურსისა მიღებული 1918 წ. ჩაითვალოს გაუქმებულად. სახ. უნ. სტ. ზაქარია ალექსანდრეს ძე ნიკოლაშვილი. 1537 3—3

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული შრომის საზოგადოების კომისრისაგან (შორაპ. მაზრა, ქუთ. გუბ.) და თავისუფლების ბარათი მოცემული მეოთხე ქართველ მსროლელ პოლკიდან. დღიდან გამოცხადებისა ჩაითვალოს გაუქმებულად. მიხეილ ნესტორის ძე ლამბაშიძე. 1548 3—3

ზუგდიდის და ქვალონის შუა დავკარგე პასპორტი № 1495 და ღია ბარათი № 1496 მოცემული სააქციზო სამართველოდან მასთანავე საფულე. გთხოვთ ეს ზემოაღნიშნული საბუთები ჩაითვალოთ გაბათილებულად. აქციზის ინსპექტორის თანაშემწე ზუგდიდის მაზრისა ელიზბარ ვახვახიშვილი. 1547 3—3

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს, რომ 1919 წ. 25 ოქტომბერს დილის 12 საათზე დანიშნულია სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცემა 1 წლის ვადით ქ. ტფილისში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში ხორცის და ცხიმის ჩაბარება (ყოველ დღე საჭირო იქნება ხორცი დაახლოვებით ასი ფუთი და ცხიმი 13 ფუთი).

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ყოველ დღეს სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში—ბარიათინსკის ქუჩა № 10, დილის 9 საათიდან შუადღის სამ საათამდის. 2006 3—3

ტფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ ოქტომბრის 19, დილის 10 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, დანიშნულია ხსენებულ საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

დღის წეს-რიგში დასმულია:

1) საკითხის მოხელეთა ეკონომიური საზოგადოების აფიცერთა ეკონომიური საზოგადოებასთან შეერთების შესახებ და,

2) მიმდინარე კითხვები.

თუ პირველი კრება დანიშნულ დროს არ შესდგა, მეორე კრება გაიხსნება ერთი საათის შემდეგ და კანონიერად ჩაითვლება რამდენიმე წევრიც უნდა დაესწროს.

1567 2—1 **გამგეობა.**

სამტბა საქართველოს მთავრობის.

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე